

## ნანა სირაძე

### რთული ფარმაცევტული ტერმინის სტრუქტურული თავისებურებები და სწავლების პრობლემები

ლათინური ფარმაცევტული ტერმინოლოგიის სწავლებისას. პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ ორი პრობლემა: 1. ლათინური ფარმაცევტული ტერმინის სინტაქსურ-სტრუქტურული კანონზომიერებები; 2. ლათინური და ქართული ენის სტრუქტურული სხვაობებით გამოწვეული სირთულეები, რომლებიც თავს იჩენს ქართულ აუდიტორიაში ამ საგნის სწავლებისას.

ლათინური მრავალსიტყვიანი ფარმაცევტული ტერმინი აგებულია მსაზღვრელ-საზღვრელის პრინციპით და მისი მართლწერისათვის აუცილებლად გასათვალისწინებელია როგორც ლათინური ტერმინის, ასევე მისი შესატყვისი ქართული თუ სხვანოვანი ტერმინის მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურა.

ლათინური და ქართული ენების სტრუქტურული სხვაობების გამო სტუდენტებს უჭირთ ლათინური მსაზღვრელ-საზღვრელის სქესში შეთანხმება. ამ სირთულის დასაძლევად მიზანშეწონილად მიგვაჩნია სტუდენტათვის ნაცნობ ინდოველოპულ ან რუსულ ენასთან შედარება-შეპირისპირება.

ფარმაცევტული ტერმინოლოგია სამედიცინო ტერმინოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. იგი მოიცავს ბოტანიკურ, ქიმიურ და სამკურნალწამლო ტერმინოლოგიას. ტერმინი, ზოგადად, ორი სახისაა – მარტივი (ერთსიტყვიანი) და რთული (მრავალსიტყვიანი). ამ თვალსაზრისით არც ფარმაცევტული ტერმინია გამონაკლისი. შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანია გამოვლენა იმ სირთულეებისა, რომლებიც თავს იჩენს ქართულ აუდიტორიაში ლათინური ფარმაცევტული ტერმინოლოგიის სწავლებისას. პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ ორი პრობლემა: 1. ლათინური ფარმაცევტული ტერმინის სინტაქსურ-სტრუქტურული კანონზომიერებები; 2. ლათინური და ქართული ენის სტრუქტურული სხვაობებით გამოწვეული სირთულეები,

რომლებიც თავს იჩენს ქართულ აუდიტორიაში ამ საგნის სწავლებისას.

ლათინური მარტივი, ანუ ერთსიტყვიანი ფარმაცევტული ტერმინი გამოხატულია არსებითი სახელით, რომელსაც ქართულში შეიძლება შესატყვისებოდეს როგორც ერთსიტყვიანი, ასევე მრავალსიტყვიანი სახელწოდება.

მაგალითები:

extractum – გამონაწვლილი

oleum – ზეთი

unguentum – მალამო

rhizoma – ფესურა

suppositorium – სამკურნალო სანთელი

linimentum – თხიერი მალამო

antidotum – შესამსაწინააღმდეგო ნივთიერება

ლათინური მრავალსიტყვიანი ფარმაცევტული ტერმინი აგებულია მსაზღვრელ-საზღვრულის პრინციპით და მისი მართლწერისათვის აუცილებლად გასათვალისწინებელია როგორც ლათინური ტერმინის, ასევე მისი შესატყვისი ქართული თუ სხვაენვანი ტერმინის მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურა აბსტრაქტი აუცილებლად მიგვაჩნია, რომ თავიდანვე გავუსვათ ხაზი ლათინური და ქართული მსაზღვრელ-საზღვრულის სტრუქტურას, რადგან ლათინური ენისთვის, შესაბამისად, ლათინური ფარმაცევტული ტერმინისათვის, დამახასიათებელია მსაზღვრელის პოსტმოზიციური წყობა, ხოლო ქართულისათვის – პრეპოზიციული. მაშასადამე, ორკომპონენტიან ლათინურ ტერმინში პირველ ადგილზეა ძირეული სიტყვა – საზღვრული არსებითი სახელი, ხოლო მეორეზე – მსაზღვრელი, ქართულში კი – პირიქით.

ლათინურ ენაში ორი სახის (ტიპის) მსაზღვრელი არსებობს : შეუთანხმებელი (ატრიბუტული) და შეუთანხმებული. ლათინური შეუთანხმებელი მსაზღვრელი გადმოცემულია არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით. იგი არ უთანხმდება საზღვრულს სქესში, ბრუნვასა და რიცხვში. ქართული ენისათვის ასეთი მსაზღვრელი (მართული) ბუნებრივია და უცვლელად ითარგმნება.

მაგალითები:

Zinci oxydum – თუთიის ოქსიდი  
Amylum Tritici – ხორბლის სახამებელი  
Natrii bromidum – ნატრიუმის ბრომიდი  
Atropini sulfas – ატროპინის სულფატი  
zadices Valerianae – ჯატაბალახას ფესვები

spiritus camphorae – ქაფურის სპირტი

ლათინური შეთანხმებული მსაზღვრელი, რომელიც გადმოიცემა ზედსართავით, ნაცვალსახელით, რიცხვითი სახელით ან მიმღეობით, უთანხმდება საზღვრულ არსებითს სქესში, ბრუნვასა და რიცხვში.  
მაგალითები:

Acidum sulfuricum – გოგირდმჟავა  
solutio spirituosa – სპირტიანი ხსნარი  
solutio isotonica – იზოტონური ხსნარი  
extractum siccum – გშრალი  
გამონაწვლილი  
extractum fluidum – თხევადი  
გამონაწვლილი  
aqua destillata – გამოხდილი წყალი  
spiritus rectificatus – გასუფთავებული სპირტი  
Ferrum reductum – ადგიგნილი რკინა  
remedium expectorans – ამოსახველებული სამკურნალო საშუალება

ლათინური და ქართული ენების სტრუქტურული სხვაობების გამო სტუდენტებს უჭირთ ლათინური მსაზღვრელ-საზღვრულის სქესში შეთანხმება. ამ სირთულის დასაძლევად მიზანშეწონილად მიგვაჩნია სტუდენტათვის ნაცნობი ინდოევროპულ ან რუსულ ენასთან შედარება-შეპირისპირება. აქ ვითვალისწინებთ რამდენიმე ფაქტორს: 1. ლათინური და თანამედროვე ევროპული ენები (ასევე რუსულიც) ენათა ინდოევროპულ ოჯახს მოეკუთვნება, რის გამოც მათ შორის დიდია როგორც მორფოლოგიური, ასევე სინტაქსურ-სტრუქტურული მსგავსებაც; 2. რუსულსა და თანამედროვე ევროპულ ენებში, ისევე, რგორც ლათინურში,

არსებობს სქესის კატეგორია და ქართული აუდიტორიისათვის, რომელიც მეტ-ნაკლებად იცნობს რომელიმე ევროპული თუ რუსული ენის ნორმებს, ამ მაგალითებით უფრო გასაგები გახდება ქართული ტერმინის მიმართება ლათინურთან. ე.ი. სტუდენტების წინაშე ვსვამთ ამოცანას – გააცნობიერონ მშობლიური (ქართული) და შესასწავლი (ლათინური) ენების სტრუქტურული სხვაობები მეტ-ნაკლებად ნაცნობი სხვა ენის მეშვეობით, ჩასწვდნენ ტერმინის არსე და სწორად აღიქვან ლათინური შეთანხმება მშობლიურ ენაზე.

ფარმაცევტული ტერმინოლოგიის სწავლების მომდევნო საფეხურს შეადგენს სამსიტყვიანი შეთანხმება, რომელშიც პირველ ადგილზე კვლავ ძირეული (მთავარი) არსებითი სახელი დგას, ხოლო მომდევნო ადგილებზე შესაბამისი შეთანხმებული ან შეუთანხმებელი მსაზღვრელი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მათი ადგილი ტერმინში დამოკიდებულია მათს ფუნქციაზე. პირველ ადგილზეა ის მსაზღვრელი, რომელიც ასახავს კუთვნილებით მიმართებას ძირეულ არსებითთან, მომდევნო ადგილებს კი იკავებს ფორმის, ზომის, ფერის, სუნის და სხვა ნიშან-თვისებათა გამომხატველი მსაზღვრელები (3, 36) მაგალითები:

მაგნეზიის ზეთოვანი ხსნარი –  
solutio Magnesiae oleosa

სტრეპტოციდის თეთრი ფხვნილი –  
pulvis Streptocidi alba

სინტომიცინის მარტივი მალამო –  
unguentum Sinthomycini simplex

არცოუ იშვიათად, ტერმინის მეტი სიზუსტისათვის მის შემადგენლობაში ჩაერთვის ისეთი განსაზღვრება, რომელიც მიემართება არა ტერმინის ცალკეულ წევრს, არამედ მთელ სიტყვათშეთანხმებას. მაგალითად:

*Hydrargyrum praecipitatum album* – დალექილი თეთრი ვერცხლისწყალი  
*Solutio Vridis nitentis aquosa* - ბრილიანტის მწვანის წყლიანი ხსნარი  
ამ ტერმინებში განსაზღვრებები (album – თეთრი და aquosa – წყლიანი) მიემართება არა ერთ არსებით სახელს, არამედ მთლიანად ორსიტყვიან შეთანხმებას. ასეთი მსაზღვრელი ტერმინში იკავებს ბოლო ადგილს და სრულად უთანხმდება არსებით სახელს, რომელიც I ადგილზე დგას.

დაბოლოს, ხშირად გვხვდება ტერმინები, რომლებშიც ერთ საზღვრულს ერთდროულად ახლავს როგორც შეთანხმებული, ასევე შეუთანხმებელი მსაზღვრელები. ასეთი მრავალკომპონენტიანი ტერმინების სტრუქტურისა და სიტყვათა თანმიმდევრობის მკაფიოდ წარმოსადგენად ძალზე გვეხმარება ტერმინის დაშლა ლოგიკურ სინტაქსურ წყვილებად. მგალითად:

გლუტამინის მჟავას გარსიანი ტაბლეტები – tabulettae Acidi glutaminici obductae

ეს ტერმინი რადენიმე სინტაქსური წყვილისგან შედგება, რომელთაგან მთავარია გარსიანი ტაბლეტები – Tabulettae obductae, რომელსაც ახლავს განსაზღვრება გლუტამინის მჟავას – Acidi glutaminici . თავის მხრივ, ეს შეთანხმებული მსაზღვრელ-

საზღვრულია, მაგრამ ტერმინის  
მთავარი არსებითი სახელისთვის  
ატრიბუტული განსაზღვრებაა (რისი?)  
და ამიტომ ნათესაობით ბრუნვაში დგას  
(მუკას ტაბლეტები - tabulette acidi).  
იმისათვის, რომ სტუდენტი  
მედიკოსებს შეგნებულად  
გავააზრებინოთ ფარმაცევტული  
ტერმინის სტრუქტურა და  
გამოვუმუშაოთ დამოუკიდებელი

მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევები,  
ლათინური ენის სასწავლო  
გრამატიკულ მინიმუმში, უპირველეს  
ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ  
სწავლება იმ მორფოლოგიურ-  
სინტაქსური მოვლენებისა, რომელთა  
შეგნებული ცოდნა დაეხმარება  
მომავალ ფარმაცევტს პროფესიული  
ლათინურენოვანი ტერმინოლოგიის  
ათვისებაში.

### Abstract

In the process of Latin pharmaceutical teaching two issues should be underlined: 1. Syntactical-structural regulators of Latin pharmaceutical terms; 2. Difficulties that are caused by structural differences in Latin and Georgian languages. This difficulties appear in the process of teaching of students in Georgian setting.

Latin compound pharmaceutical term are constructed in accordance with the principle of determiner and determined. In orthographic cases should be taken into consideration the morphological-syntactical structure of Latin terms and their equivalent in Georgian language.

Because of this problems related to the difficulties of differences in determiner and determined it's challenging for students to correspond the determiner and determined in sex. To solve this problem we recommend to students to consider the cases on the example of contrasting Indian-European and Russian languages.

### gamoyenebuli literatura:

1. ი. გაგუა, ლათინური ენა, თბ., 1986.
2. М. Н. Чернявский, Латинский язык и основы фармацевтической терминологии, М. 1984.
3. Н. Л Кацман, Методика преподавания латинского языка, М. 1979.
4. ბ. გიგოლაევა, რ. გიორგობიანი, ბ. სირაძე, სამედიცინო ლათინური ენა, თბ., 2007.